ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

ნინო დავითაია

„ნამდვილი ისტორიები“- „სინამდვილისა“ და „ისტორიის“ მნიშვნელობითი ინტერპრეტაციები.

ნაშრომი შესრულებლია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მედიანიმუშის თვისებრივ კონტენტანალიზზე და ფოკუს ჯგუფზე დაყრდნობით,საკვალიფიკაციო ნაშრომი შეისწავლის და იკვლევს,“ნამდვილი ისტორიების“-„სინამდვილისა“ და „ისტორიის“ მნიშვნელობით ინტერპრეტაციებს.ლიტერატურის მიმოხილვა შედგება შემდეგი ქვემიმართულებისგან:1.რატომ იკავებენ ისტორიკოსების ადგილს ჟურნალისტები. 2.“ფოლკ-ისტორია და ანტიისოტრია“ პოსტსიმართლის ეპოქაში. 3.სოციალური მედია „youtube”პლათფორმა და ტენდენცია გაციფრულებული შინაარსის დომინაციისკენ. თვისებრივ კონტენტანალიზში, დაკვრივების ობიექტია,შემეცნებითი ხასიათის,გადაცემა - „ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად“. მოცემულ საკვლევ დროში,გადაცემა განხილულია,როგორც ფუნქციურად,ასევე სტრუქტურულად.

სარჩევი

შესავალი .....Error! Bookmark not defined.

ლიტერატურის მიმოხილვა 6

რატომ იკავებენ ისტორიკოსების ადგილს ჟურნალისტები 6

კონტექსტი რომელიც,ისტორიის შექმნისკენ უბიძგებს .....Error! Bookmark not defined.

"ფოლკ-ისტორია და ანტიისტორია"პოსტსამართლის ეპოქაში.....12

სოციალური მედია „youtube”პლათფორმა და ტენდენცია გაციფრულებულიშინაარსის დომინაციისკენ .....Error! Bookmark not defined.

კვლევის დიზაინი 15

ფოკუს ჯგუფი 23

დასკვნა.....39

შესავალი

თანამედროვე მედია მუდმივად ვითარდება,ახალი იდეები და საინტერესო შეხედულებები ამ სფეროს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. ტელევიზიაში საგანმანათლებლო ფუნქციის მატარებელი გადაცემებიც ერთგვარი შოუს სახით გვევლინებიან,წლების წინ ეკრანებზე ვხედავდით შემდეგი ტიპის საგანმანათლებო,შემეცნებით გადაცემებს როგორებიც არის : „ ყველაზე ჭკვიანი“ „ვის უნდა ოცი ათასი“ და ა.შ. გადაცემები, განთავსებული იყო სხვადასხვა ტელევიზიის არხებზე,თუმცა ამჟამად, ამ ტიპის პროექტს ,სამაწუყებლო ბადეს უფრო მეტად, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვიხილავთ .

სწორედ ამ დროს,2022 წლის,15 ოქტომბერს ჟურნალისტი,თეონა გეგელია,საავტორო შემეცნებითი ხასიათის გადაცემით,სახელწოდებით „ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად“ ახალ მედიაპროდუქტს წარადგენს YOUTUBE-ზე. რა თვისებით გამოირჩევა ეს პროდუტქი სხვა გადაცემებისგან ? პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის დრო,თანამედროვე ეპოქაში დროის ფაქტორი ყველაზე მნიშნველოვანი ცნებაა, ამ არხზე კი როგორიც არის - youtube გადახვევის ღილაკი მუდმივად ფუნქციონირებს,რაც ჯერ-ჯერობით ტელევიზიის მეშვეობით შეუძლებელია,რადგან გადახვევის რეჟიმი მხოლოდ 7 დღის დიაპაზონზეა შესაძლებელი. თეონა გეგელიამ, გადაცემათა ციკლი აწარმოა,რომელიც თავისი ფუნქციის აგრძელებს მთავარ ხაზსს-ცოდნის მიღებას,გაღრმავებას და შემეცნებას,თუმცა მაყურებელთან,მსმენელთან და გამომწერთან არის უფრო „ახლოს“ ვიდრე,ეს შეუძლია ტელევიზიას. ქართულ ონლაინ და ასევე სამაუწყებლო მედიაში, ამ ტიპის პროექტი ამჟამად განთავსებული არ არის,სწორდ ეს მაჩვენებელი გამოარჩევს მას,სხვისგან. საკვლევი პერიოდის განმავლობაში,კონტენტანალიზის და ფოკუს ჯგუფის საფუძვლად,გამოჩნდა

განსხვავება ამბავსა და ისტორიას შორის.

საკვლევი პერიოდი: 2022 წლის 20 ოქტომბრიდან-2023 წლის 1მარტამდე

კვლევის მეთოდი: საკვლევი საგანი- პროექტი“ ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად.“

საკვლევი ტექნიკა: თვისებრივი კონტენტანალიზი და ფოკუს ჯგუფი.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია ლიტერატურის, აკადემიური წყაროების თემატური მიმოხილვა, რომელიც შეეხება შემდეგ თემას-თუ რატომ იკავებენ ჟურნალისტები ისტორიკოსების ადგილს. რა განსხვავებაა, ამბის (story) და ისტორიის (history) გადმოცემას შორის. Youtube პლათფორმა და გაფიცრფულებული ტენდენციის არსებობა,თუ როგორ შეცვალა/ჩაანაცვლა ამ პლათფორმამ,ტელევიზია და გაშუქების სპეფიციკა. განხილულია თემა,თუ რამ განაპირობა მედიაისტორიების განვითარება. რას ნიშნავს ფოლკ-ისტორია და რა განსხვავებაა ანტიისტორიას შორის.

მეორე თავში განხილულია მეთოდოლოგიურად რელევენატური მიდგომა, კონტენტ ანალიზი რომელშიც აქცენტირებულია საკვლევი პროექტის შინაარსი და კონტექსტი. და ასევე, ფოკუს ჯგუფი,სადაც მედიის სფეროს წარმომადგენლები მინიმუმ 3 გადაცემას გაეცნობოდნენ და მორგებულ კითხვებზე პასუხს წერილობით დაფიქსირებდნენ. მესამე თავი ეხება მეთოდის აღწერას და მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებულ შედეგებსა და მათ განხილვას.

ნაშრომი სრულდება დასკვნით.

ლიტერატურის მიმოხილვა

რატომ იკავებენ ისტორიკოსებს ადგილს ჟურნალისტები

ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ჟანრობრივად რას წარმოადგენენ ის მედიაპროდუქტები, რომელთა რიგსაც განეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო პროექტი „ნამდვილი ისტორიები“ თეონა გეგელიასთან ერთად“, არ არსებობს. არ არსებობს იმ მიზეზის გამო, რომ მსგავსი პროდუქციით დაინტერესებული მკვლევრები იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ „ზეპირ ისტორიებში“ შემავალი ცალკეული გადაცემები ფუნქციურად სხვადასხვა დატვირთვას ატარებენ - ზოგ შემთხვევაში ეს იყო კომპილაციური მონათხრობი ისტორიულ პროცესსა და მოვლენაზე, ზოგ შემთხვევაში ეს იყო დომინანტური დისკურსის ალტერანტიული ხედვა, ე.წ. კონტრდისკურსი, ზოგ შემთხვევაში კი ამგვარი შინაარსი წარმოადგენდა განვრცობილ კომენტარს რაიმე აქტუალური მოვლენის შესახებ (კოლი/ქოული, 2011). პირველ შემთხვევაში სახეზეა ნეიტრალური, ობიექტური, მრავლობით წყაროებზე დაყრდნობილი ნარატივი, მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს კრიტიკასთან, - შეიძლება

ითქვას, რომ იდეოლოგიურ კრიტიციზმთანაც კი, ხოლო მესამე შემთხვევაში - სინტაგმურად და პარადიგმულად (ანუ შინაარსობრივად) ნაკლულ ტექსტთან,რომელიც მხოლოდ სხვა ტიპის ტექსტთან ერთიანობით შეიძენს სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობას.

გარდა ამისა, მკვლევრები ხშირად მიუთითებდნენ ორი ცნების გამიჯვნის შესახებ, როცა დისკუსია ამგვარ მედიაპროდუქტებს შეეხებოდა. კერძოდ, აქ აქტუალური იყო შეკითხვა „ისტორია“ იყო „ისტორია“ (history) თუ „ამბავი“ (story), რადგან უკანასკნელი პერიოდში მედიამ ბევრი ისეთი ცნება წარმოშვა, რომლებიც ამ ცნებებს შეიცავდა, თუმცა შინაარსობრივად რთული ხდებოდა გამიჯვნა, რა ტიპის მონათხრობთან ჰქონდათ საქმე მედიის მომხმარებლებს ან მედიის მკვლევრებ. ასეთ ჟანრებს თუ ქვეჟანრებს მიეკუთვნებოდნენ და მიეკუთვნებიან: ისტორიოგრაფიული სიუჟეტები ან დოკუმენტური ფილმები.სთორი-თელინგი (ანუ ერთი ადამიანის მიერ ან ერთი ადამიანის შესახებ ამბის

მოთხრობა/თხრობა სუბუექტური პრიზმით), ზეპირი ისტორიები, ფოლკ-ისტორიები (ამ ტერმინის თარგმნა ზუსტი მნიშვნელობებით გვაძლებს კომპოზიტს „ხალხური/სახალხო ისტორიები“, ანუ ისტორიები, რომლის ვერსიასაც მთხრობელი ქმნის, როგორც ერთ-ერთი წყარო - როგორც ეს ფოლკლორში ხდებოდა, როცა ამბავი ყოველი ახალი წყაროს მეშვეობით რაღაც ახალ შტრიხს იმატებდა). ამიტომ მეცნიერების დიდი ნაწილი კვლევის ფოკუსში აქცევს, ერთის მხრივ, ისტორიების მოყოლის მიზანშეწონილობას, ხოლო მეორეს მხრივ - კონტექსტს, რომლიც განაპირობებს ამ მიზანშეწონილობას და, აქედან გამომდინარე, ისტორიის შინაარსს. და რაც ყველაზე მთავარი - ყურადღებას აქცევენ დისტანციას - შესაძლებელია თუ არა მიმდინარე მოვლენების ისტორიის წერა? ჩვენ მიერ ხსენებული მკვლევარი ხუან კოლი (იგივე ჯუენ ქოული) მიჩიგანის უნივერსიტეტიდან ნაშრომში „Blogging Current Affairs History“ , რომელიც გამოქვეყნდა SAGE-ის გამომცემლობის ჟურნალში „Journal of Contemporary History46(3), 2011 წელს, სვამს შეკითხვას „შეაბიჯეს თუ არა ისტორიკოსებმა იმ ეპოქაში, როცა შესაძლებელია და აუცილებელიც კი, წერო „მიმდინარე მოვლენების ისტორია?“ ან სიტყვათსეთანხმება „თანამედროვე ისტორია“ ხომ არ არის იმდენად აბსტრაქტული იდეა, რომ შემზღუდველ გარემობადაც კი შეიძლება მოევლინოს ისტორიის შემქმნელს თუ მთხრობელს იმ ეპოქაში, რომელიც ისტორიკოსებს მოუწოდებენ, რეაქცია სათაურებზე იქონიონ და ეს ბლოგების ან ინტერნეტკომუნიკაციის სხვა ფორმებით გააკეთონ“? (გვ. 658). მართლაც აქტუალური შეკითხვაა ისტორიკოსებისთვის, რომნლებიც მიჩვეულნი იყვნენ, მიმდინარე ისტორიის შესახებ ჟურნალისტის განკუთვნილ 35-გვერდიან სტატიებში ეწერათ.

იმ მწერალმა ჟურნალისტებმა ან მწერლებმა, რომლებიც პუბლიციტიკით და დოკუმენტური პროზით იყვნენ დაკავებულნი, სხვა კოლეგებზე ადრე იგრძნეს ზეპირი ისტორიების თხრობის საჭიროება - ისტორიკოსის სიზუსტით, თუმცა მედიაში მუშაობის გამოცდილების უპირატესობით. მათთვის ისტორიკოსებზე უმალ გახდა ცხადი, როგორ შეიცვალა დროის აღქმა მედიაში. ერთის მხრივ, საახალამბებო ჟურნალისტიკაში 24-საათიანი ციკლი დაძველდა, საახალამბებო ციკლი უფრო კომპრესიული გახდა, ხოლო, მეორეს მხრივ, თანამედროვე ნიუსებმა მოითხოვეს ბმა ისტორიულ კონტექსტთან [ამასაც

თვისი მიზეზი ჰქონდა და აქვს - ჯერ კიდევ 1965 წლიდან, გალტუნგისა და რუგეს ნაშრომიდან არის ცნობილი, რომ ადამიანებისთვის ნიუსი მით უფრო მაღალი ინფორმაციული ღირებულებისაა, რაც მეტად ებმის იგი თავისი ბუნებით რაღაც ხდომილებას, ნაცნობს, მსგავსს. ამ შემთხვევაში ნიუსი ე.წ. „ცოდნის ჩარჩოში“ თავსდება და აღარ იკარგება]. ჟურნალისტებმა აიღეს საკუთარ თავზე ისტორიკოსის უნარ-ჩვევები - კონტექსტუალიზაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, ყურადღების მიპყრობა ცვლილებებისადმი დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ორიენტაცია არა მხოლოდ ზოგად აუდიტორიაზე, რომლის შემადგენლობაც თვითონ ჟურნალისტებმაც ცუდად იციან, არამედ დიდ სოციალურ ჯგუფებზე, მითების რღვევა, ენისა და მეტყველების კლიშეების დაშლა ან შენარჩუნება. ისტორიკოსების ინერტულობის მაგალითად მკვლევრები იხსენებენ, რამდენად ცოტა ისტორიკოსი გამოჩნდა მედიაში კომენტატორებისა და ანალიტიკოსების ამპლუაში 2003 წლს, როცა ერაყს ანგლო-ამერიკულმა კოალიციამ შეუტია, ან მოგვიანებით - რატომ ისმოდა ესოდენ ცოტა ისტორიკოსის ხმა „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ სირიაში განუკითხაობის მოწყობისას, როცა საკითხი - სინქრონულადაც და დიაქრონულადაც - ისტორიული ხდომილებებს ანალიზს მოითხოვდა, არათუ ანალიზს, არამედ ანალოგიებსაც კი. ისტორიკოსებმა უფრო მეტი კლასიკური ისტორიის შესახებ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მათთვის თანამედროვე სამყაროში. უახლესი ისტორიის მკვლევარი ლიულინ ვუდუორდი (1966) ჯერ კიდევ 60 წლის წინ წერდა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ისტორიკოსების გულგრილობის გამართლება იმ არგუმენტით, რომ ფაქტები მათთვის პოსტ ფაქტუმ ხდებიან საცნაურნი, რომ ისტორიკოსებისთვის „შეუფერებელია“ მსჯელობა მიმდინარე ისტორიაზე მხოლოდ ზედაპირული და ყოველდღიურად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, რომ მთავრობების და პრესა დიდი რაოდენობით ინფორმაციას ქმნიან, რომლის მყისიერი ათვისება ისტორიის მკვლევრებისთვის შეუძლებლია.

საქართველოს მედიას, როგორც საბჭოთა მედიის ნაწილს, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდში მყოფს, აქვს გამოცდილება, როცა „გლასნოსტურ“ და

„პოსტგლასნოსტურ“ პერიოდში უკუგდებულ იქნა კლასიკური ისტორია, როგორც „ყალბი“ და ისტორიკოსებმა ისტორიის წერა ხელახლა დაიწყეს - ოღონდ არა აკადემიურ გამოცემებში, არამედ მედიაში. ძირითადად ეს იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თითქმის ყველა ფაზა და ასპექტი ძალიან ფართო პერსპექტივაში, საქართველოს გასაბჭოების ისტორია, ანტისაბჭოთა მოძრაობების ისტორია, საქართველოში ავტონომიური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და აფხაზთა და ოსთა წარმოშობის საკითხები. ეს იყო ისტორიგრაფიული ნარატივი, რომელიც საბჭოთასგან განსხვავებულ ვერსიას ქმნიდა (მაისაშვილი, სვანიძე და სხვ., 2018). იგივე პროცესები მიმდინარეობდა უკრაინაში,ბალტიისპირეთში, სომხეთში, იმ საბჭოტა რესპუბლიკების მედიაში, რომლებშიც ტრადიციულად ძლიერი იყო იატაკქვეშეთში გადასული თუ ციხეებში გამომწყვდეული დისიდენტური აზრი. თუმცა ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1995 წლიდან საქართველოს მედიამ ისტორიის რეპრეზენტაციის პროცესი ამგვარი მიდგომებით საბოლოოდ დაასრულა.

ისტორიკოსების ნიშა, რომელზეც მოთხოვნა მეტ-ნაკლები ინტენსივობით იჩენდა თავს, ჟურნალისტებმა დაიკავეს. ჩვენს დროში, როცა საქმიანობამაც, გართობამაც და კომუნიკაციამაც უმთავრესად ონლაინში გადაინაცვლა, პოლიტიკაც უფრო მეტად ინტერნეტში ეძებდა არსებობის ადგილს და მალე ამ მოვლენას ციფრული დემოკრატია ეწოდა. ციფრული დემოკრატია, რომელსაც მეორენაირად ელექტრონულ დემოკრატიას უწოდებენ, მოქალაქეებს პოლიტიკაში ონლაინინსტრუმენტების გამოყენებთ უბიძგებს მონაწილეობისკენ. ეს გარემოება კი ხელს უწყობდა ზეპირი ისტორიით დაკავებულ ჟურნალისტებს საკუთრი საავტორო პროექტები სწორედ ინტერნეტსივრცეში შეექმნათ.

კონტექსტი, რომელიც ისტორიის შექმნისკენ უბიძგებს

ამ ქვეთავში შევეხებით ისტორიებისთვის აუცილებელ სტიმულს ან სტიმულებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ე.წ. მედიაისტორიების განვითარებაში. იმავე სერ ლიუელინის (ლეველინის) აზრით, ამ პრაქტიკას ჩრდილოამერიკულ ჟურნალისტიკაში ბიძგი ე.წ. „საზოგადოებრივმა შეშფოთებამ“ მისცა (უფრო სწორად, ეს ელიტების შეშფოთება იყო). იმდროინდელ ამერიკა შეშფოთბით აკვირდებოდა ახალი ამბებს საბჭოთა კავშირის წარმატებების შესახებ როგორც კოსმოსის ათვისებაში, ისე იარაღის ახალი სახეობების შექმნაში. ეს ახალი ამბები, რომლებიც

გარკვეული დოზით ამერიკულ მედიაშიც ჩნდბოდნენ, განზრახვად ისახავდნენ ამერიკელთა შორის საბჭოთა კავშირის მიმართ მეტოქეობის გამძაფრებასა და რისხვის გაღვივებას - თუმცა ეს დაგეგმილი ეფექტი დისფუნქციური აღმოჩნდა. ახალი ამბები საბჭოთა კავშირიდაან ამერიკულ ელიტებში შეშფოთებას და ეჭვებს იწვევდნენ ამერიკულ ელიტებში, ხშირად ისმოდა კრიტიკა, რომ ამერიკის განათლების სისტემა ჩამორჩენილი და ჩაკეტილი იყო და ზედმეტად კონცენტრირებული ამერიკაზე, მაშინ როცა მსოფლიოში ამერიკისთვის პოტენციური საფრთხის შემცველი რამ ხდებოდა. როგორც იგივე სერ ლიუელინი (ლეველინი) წერს, ამ კამპანიამ შედეგად მოიტანა 1958 წელს ეროვნული თავდაცვის სფეეროში განათლების კანონის მიღება, რომელიც ორიენტირებული იყო უცხო ენებისა და უცხო კულტურების შესწავლაზე. კანონის კვალდაკვალ გაჩნდა საგანამანათლებლო და კვლევითი ცენტრები, რომლებმაც თავიანთი პერიოდული გამოცემები შექმნეს და ეს გამოცემები ამერიკული მეცნიერების მიმდინარე ისტორიების პოპულარიზაციით დაკავდნენ. ამ ტენდენციის გარდა, იყო კიდევ ერთი ბიძგი, 60-იანი წლების დამლევის ახალგაზრდული მოძრაობები, რომელმაც საბოლოოდ დაამკვიდრა საუნივერსიტეტო კურიკულუმებში საგანი სახელად „ისტორია 1960 წლიდან“, რომლის შინაარსიც ემყარებოდა ამერიკელი მეცნიერების სტატიებს (Ronald D. Tallman, William H. Beezley and Thomas H. Henriksen, ‘History for the 70’s: AnApproach to Contemporary History’,The History Teacher, 6, 1 (November 1972), 9–16). ამ ტალღაზე გაღვივდა ინტერესეი ლათიმური ამერიკის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართ, თუმცა ამ პროცესმა თვით ისტორიკოსებს შორის ძალიან სენსიტიური საკითხი შემოიტანა - ცენტრის, ღერძის

საკითხი; კერძოს - ამ გეოპოლიტიკური რეგიონებისა თუ სამყაროების ისტორია უნდა ყოფილიყო ავთენტური თუ ისტორიკოსებს ევროპის ისტორია უნდა დაეწერათ, ოღონდ - ამ რეგიონებში?

ბრიტანელი ისტორიკოსი ჰიუ ტრევორ-როპერი 1969 წელს სრული სრიოზულობით წერდა, რომ „აფრიკაში მხოლოდ ევროპელების ისტორიაა. დანარჩენი - წყვდიადია“. (Hugh Trevor-Roper, 'The Past and Present: History and Sociology', Past and Present, 42 (1969),1–17, at 6) . ბრიტანული ქედმაღლობის პასუხად ამერიკელმა ისტორიკოსებმაისტორიის ახალი ტიპი შემოიტანეს „ზეპირი ისტორია“, რომელიც სხვადასხვა ტიპის წყაროების რეკონსტრუქციით მიღებული ნარატივი იყო ამა თუ იმ ქვეყნისა და თუ ხალხის შესახებ. ცხადია, რომ ბევრი ობიექტური გარემოების გამო, „ზეპირი ისტორიები“ უფრო მეტად არცთუ შორეულ წარსულსა და მიმდინარე მოვლენებზე იყო ორიენტირებული.

„ფოლკ-ისტორია და ანტიისტორია“ პოსტსიმართლის ეპოქაში

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, არსებობს „ისტორიების“ ე.წ. პოპ-ჟანრი - „ფოლკ ისტორიები“. ამ ქვეთავის სათაური იმ ავტორს (ხოლმოგოროვი, ე., 2019) დავესესხეთ, რომელიც ამ ჟანრს კრიტიკულად უყურებს და მას ისტორიის მისტიფიკაციას არსით მანიპულაციურს უწოდებს. ხოლმოგოროვი კრიტიკას იწყებს იმით, რომ ფოლკ-ისტორიების შემოქმედებს აუდიტორიად ობივატელი ჰყავთ წარმოდგენილი, ადამიანი, რომლისთვისაც მონასმენი ისტორია ცოდნის მიღმა მდებარეობს, „ანუ მას ან არასდროს არაფერი სმენია მის (ისტორიის შესახებ) შესახებ, ან - ყურმოკვრით იცის“ (ხოლმოგოროვი, 2019: 2);ეს შეიძლება იყოს მონათხრობები ძველი დროის მწერლების შესახებ, ძველი საბრძოლო ხელოვნებების შესახებ, ძველი დროის შეიარაღების ან ტაქტიკის შესახებ, უცხო ქვეყნების შესახებ, პოლიტიკური მოძღვრებების განვითარების შესახებ და სხვ.ხოლმოგოროვის აზრით, ხერხი, რომელსაც ფოლკ-ისტორიკოსი მიმართავს, არის ე.წ. „მსმენელის ან მკითხველის სამსჯავრო“, ანუ – მიმართვა საკვანძო სიტყვით: „თავად იმსჯელეთ, თავად განსაჯეთ“. მაგალითისთვის ხოლმოგოროვს ციტატა მოჰყავს ერთ-ერთი ბლოგიდან: „თავად განსაჯეთ - განა შეეძლო უზარმაზარ არმიას, ათასობით კილომეტრი მშიერ ტრამალზე გაევლო და მატერიკის მეორე ბოლოში მდიდარი ქვეყანა დაეპყრო?“... ფოლკ-ისტორიები მეორე ავტორის, ზალიზნიაკის (2008) აზრით, არა მხოლოდ ინტენსიურად იყენებს ობივატელური ცნობიერების სპეციფიკას, არამედ ამ სპეციფიკის უფრო მეტად ინტენსიფიკაციას ცდილობს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოდელი, რომელიც დამახასიათებელია ობივატელის აზროვნებისთვის - იმსჯელოს უცნობი ან ნაკლებად ნაცნობის შესახებ ნაცნობის ანალოგის მიხდვით. გარდა ამისა, ფოლკ-ისტორიებისთვის ასევე დამახასიათებელია მანიპულაციური სტრატეგია - თხრობის პერსონაჟები, განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანები, მსმენელებთან დაახლოოს მათი ადამიანური მანკიერი ბუნების აქცენტირებით – რომ, მაგალითად, მათ უმრავლესობას, გენეტიკური სნეულება სჭირდა, რაც ინცესტით აიხსნებოდა; ან – ბევრი მათგანი მომხვეჭელობის მანიით იყო შეპყრობილი, ან – ჰქონდა სისასტიკის

აუხსნელი შემოტევები; ან – გამოირჩეოდა სექსუალური აღვირახსნილობით და ა. შ. ერთი სიტყვით, „არაფერი ადამიანური არ იყო მათთვის უცხო“, და რომ მათთვის სიქველეზე მეტად მანკიერება და ცოდვა იყო დამახასიათებელი. იმავე ხოლმოგოროვის აზრით, ფოლკ-ისტორიები მიზნად „ნიღბების ჩამოგლეჯას“ და „გაშიშვლებას“ ისახავს - განსაკუთრებით იმ პერსონების მიმართ, რომელთა შესახებაც მხოლოდ კარგი რამ იყო ცნობილი. ფოლკ-ისტორიები, რომელიც პოსტსიმართლის ეპოქის შვილია, დამახასიათებელია ქაოსი წყაროებთან და ისტორიოგრაფიასთან მიმართებაში: იყენებს ნაკლებად სანდო პოპულარულ ლიტერატურას, თუმცა გამოყენებულ ლიტერატურაში თითქმის არსად ჩანს, საიდან არის აღებული ესა თუ ის ფაქტი ან მოსაზრება.

სოციალური მედია, “YOUTUBE” პლათფორმა და ტენდენცია გაფიცრულებული შინაარსის დომინაციისკენ

ციფრული კომუნიკაციების დასაბამს სოციალური მედია უდგას სათავეში,რადგან იგი ინტერნეტის გამოგონების შემდეგ შეიქმნა.დღევანდელ რეალობაში ეს არის სივრცე,სადაც ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერი შეხედულება,ფარული ნიჭი თუ ყოველდღიური სამუშაო სივრცე შეიქმნან. მოკლე დროში,სოციალურმა მედიამ შექმნა გარემო,სადაც,ზღვარი ონლაინ და რეალურ ცხოვრებას შორის,ფაქტობრივად წაშალა.

და მაინც რა არის სოციალური მედია?- ეს არის,ვებგვერდი ან აპლიკაცია სადაც, ადამიანებს საშუალება ეძლევა შექმნან გარკვეული კონტენტი და ასევე იურთუერთონ ერთმანეთთან.

2023 წლის,საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების,თანახმად,ყველაზე მოთხოვნადი პლათფორმა,Facebook-ის შემდგომ არის, youtube, რომელსაც, ყოველთვიურად 2 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს.

რამ გამოიწვია, youtube-ს აქტუალურობა?

ციფრულ სამყაროში,ყველაფერი გამარტივებულია,მაყურებელს უკვე შეუძლია, 12-20 წუთიანი ვიდეოების ნაცვლად,მოკლე,ლაკონური რილსი ნახოს,რომელიც დროის დაზოგვაშიც დაეხმარება,ვფიქრობ,ეს არის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი,ამ პლათფორმის პოპულარიზაციის. ასევე, აქ შეგიძლია, ნებისმიერი ვიდეო, შენზე მორგებული სიჩქარით იხილო, როგორც დააჩქარო, ასევე პირიქით სვლა შეანელო.

ჩვენი კვლევის,ობიექტი არის,"ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად",რომელმაც,არსებობა,სწორედ ამ პლათფორმაზე დაიწყო. თუმცა,არსებობენ,ცალკე „ინდივიდები" და ასევე სხვადასხვა პროექტები,რომლებიც აქ,ამ სივრცეში დაიბადნენ.

პირველი,რომელიც შეგვიძლია ვახსენოთ არის flowmaster online,რომელმაც 2022 წელს, მოღვაწეობა,სწორედ youtube პლათფორმაზე დაიწყო,მათ აქვთ,საიტი,სადაც შეგვიძლია კარიერული წარმატების,ლიდერობის თუ სხვა საინტერესო პროფესიული უნარების,შესახებ კურსი გაიაროთ და ასევე,იგივე თემებზე ზემოთ ხსენებულ პლათრომაზე ვნახოთ პირადი და პროფესიული განვითარებისთვის შემეცნებითი ვიდეოები.

სალონური საუბრების შედმგომ,აზროვნების აკადემიამ,იგივე პლათფორმაზე დაიწყო მოღვაწეობა,რამაც მის მაყურებელს,საკუთვრივ გაუმარტივა ადგილზე დასწრების ეფექტურობა. რა თქმა უნდა,ცოცხალ ინტერაქციას,მეტად დადებითი თვისებები აქვს,თუმცა ეს არის პლათფორმა,რომელიც გარკვეულწილად გვიმარტივებს ინფორმაციის მოწოდებას.

რა არის ციფრული ეპოქის მთავარი კომპონენტი? ამ შემთხვევაში პასუხი არის კონტენტი და სეგმენტი.

ტრადიციულ მედიებში,საზოგადოებასა და მედიას შორის ცალსახად არის ბარიერი გამოხატული, ამ სივრცეში კი ეს კედელი დარღვეულია,მომხარებელს თავისუფლად შეუძლია,ბრენდს,გამოცემას,პერსონას,გადაცემას თუ სხვ.კომენტარების მეშვეობით დაუკავშირდეს და უკუკავშირი რამდენიმე წუთში მიიღოს. შესაძლოა ითქვას,რომ ციფრულ მედიაში,მომხარებლისთვის ყველა კარი ღიაა,ესეც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია,მისი აქტუალობის.

კვლევის დიზაინი

კვლევის საგანი არის ციფრული კონტენტი „ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად“. როგორც პროექტის ე.წ. „მისიის განცხადებაშია“ მითითებული, ის მაყურებლებს დაეხმარება, გარკვნენ თანამედროვე მოვლენებში, რომელთა გაგებაც კონტექსტის ან წარსულის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ჟურნალისტი თეონა გეგელია, რომელიც ამ პროექტამდე 11 წლის განმავლობაში მეინსტრიმულ სატელევიზიო მედიაში მუშაობდა, 10-20 წუთის ქრონომეტრაჟის ფარგლებში მოგვითხრობს ამბებს ისტორიული მოვლენებისა თუ ადამიანების შესახებ. ასევე – იგი გადმოსცემს პოლიტიკისებისა და ჟურნალისტების ენაში დამკვიდრებული ცნობილი ფრაზების, გამონათქვამების და ცნებების რეალურ ისტორიას. გადაცემა ყოველკვიურად მიმდინარეობდა 2022 წლის 15 ოქტომბრიდან 2023 წლის 16 თებრვლამდე, მის შემდგომ უახლესი ვიდეო არ განთავსებულა.

კვლევის მეთოდათ გამოყენებულია ორი საკვლევი ტექნიკა: (1) თემატური მონიტორინგი და (2) ფოკუს-ჯგუფი.

მეთოდის დახასიათებისთვის ვიტყვი, რომ როგორც წერს მედიის კვლევების მეთოდისტი მაისაშვილი (2019), “მონიტორინგი, როგორც არაფორმალური კონტენტანალიზის წინარე

ეტაპი, როგორც სპეციფიკური საკვლევი მეთოდი და ტექნიკა ხშირად გამოიყენება კომუნიკაციის კვლევის სფეროში. მეთოდის პოპულარულობა აიხსნება იმით, რომ მისი მეშვეობით მიღებული შედეგები ვალიდური (მყარი/სანდო) და ეფექტურია კომუნიკაციის პროდუქტების შინაარსის კვლევისთვის. [...] უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, კონტენტანალიზი წარმოადგენს მედიური და კომუნიკაციური დისკურსის შემადგენელი ცალკეული, ვერბალური თუ არავერბალური, განსაზღვრული შინაარსის მქონე სტიმულების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს: მათი გამოყენების სიხშირესა და გამოყენების კონტექსტს."(157გვ.). ჩვენს შემთხვევაში, მონიტორინგი უფრო მეტად შეეხება ცალკეული ჩარჩოს, ფრეიმის, შინაარსობრივ ფარგლებს (ავტორის ტექსტი + კონტექსტი + ჰიპერტექსტი).

როგორი იყო ეს პროექტი ფუნქციურად და სტრუქტურულად ? დავახასიათოთ თითოეული.

ფუნქცია - გადაცემა თავიდან ბოლომდე საგანმანათლებლო შინაარსის მატარებელია. წამყვანის მიზანია,გაგვაცნობს გარკვეული პოლიტიკური ცნებები თუ მოსაზრებები,ასევე კონსტრუქტები შემოიტანოს ისტორიული განვითარების კონტექტსში და გვაჩვენოს, რატომ არის დღეს აქტუალური.

სტრუქტურა - წარმოადგენს მონოლოგს,ანუ კომპოზიციურად გადაცემას აქვს სამი ეტაპი: შესავალი, განვითარება და დასკვნა. პლატფორმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს პროდუქტი არ არის მხოლოდ წამყვანის ნაწილი, რადგან, ვიდეოს ქვეშ მიმდმინარეობს დისკუსია, შეფასება და კომენტარები სხვადასხვა თემებზე.

დროის ჩემს მიერ მონიშნულ მონაკვეთში გასული კონტენტი სამი კატეგორიის მიხედვით გავაანალიზე:

1. თემატური შინაარსი - ანუ რას ეძღვნება თავად გადაცემა.
2. ბმა მიმდინარე მოვლენებთაან - მიმდინარე კონტექსტთან რა კავშირია დამყარებული.

3. მონაწილეობა/ინტერაქტიულობა/ინტერტექსტურობა - მაყურებლის მხრიდან მონაწილეობის ან თანამონაწილეობის, კრიტიკის კრიტერიუმები რამდენად არის გამოხატული.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის გადაცემის შინაარსი, თუმცა ვიდრე შინაარსის აღწერის პროცესს დავიწყებთ, საყურადღებოა გადაცემის სახელი: "ნამდვილი ისტორიები" რას ნიშნავს სიტყვა „ნამდვილი" ამ კონტექსტში ? როგორც „ფეიკის", სიყალბის, ტყუილის ანტონიმს თუ ამბავს, რომელიც მართლა მოხდა? ამბავს, რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია; ამბავს, რომელიც მრავალი სანდო წყაროთი დასტურდება? რა მნიშვნელობით დატვირთვას ენიჭება უპირატესობა?

სიტყვა ნამდვილი გვეუბნება რომ გადაცემის ფუნქცია არის აუდიტორიას მიაწოდოს ავთენტური ისტორიები; გააცნოს საზოგადოებას ის ფაქტები, რომელთა უმრავლესობა ან ნაკლებად ცნობილია ან უცნობი. ვინაიდან ლექსემა „ნამდვილი" დაკავშირებულია ობიექტურთან და ეს უკანასკნელი ჟურნალისტიკის უმთავრესი პრინციპია, გარკვეულწილად გამოვრიცხავ, რომ კონტენტის კრეატორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია თავისუფლად ინტერპრეტირდებოდეს სოციალურ კონტექსტის მიხედვით. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ობიექტურ კატეგორიებზე, ეს თავის თავშივე მოაზრებს იმას, რომ წარმოდგენილი ცოდნა არ უნდა ითვალისწინებდეს რაიმე აქტუალურობის კონტექსტს.

განხვიხილოთ პროექტის რაოდენობრივად დათვლადი მახასიათებლები: არხს ჰყავს 1.45 ათასი გამომწერი, გადაცემას ჯამში აქვს 25 274 ათასი ნახვა, პლატფორმები კი, რომლებზეც გადაცემის ნახვა ხელმისაწვდომის, არის: Fcebook, Instagram, linkttree.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემობას, რომ პროექტი დასაწყის სტადიაშია, გამომწერთა რაოდენობა ქართულენოვანი მომხმარებლების რაოდენობიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად კმარია. გამომწერი პროექტის სიცოცხლის უნარიანობის მთაავარი ფაქტორია. ჩემი საკვლევლი პერიოდის განმავლობაში, დავაკვრიდი 12 ვიდეო-გადაცემას და კვლევის ფარგლებში გავანალიზებ თითოეულ მათგანს.

პირველ გადაცემას – " იმპერიები. არის თუ არა თანამედროვე რუსეთი იმპერია" ყველაზე მეტი – 1973 ნახვა აქვს, რაც იმას მოწმობს,რომ ენთუზიაზმი მაყურებელში დასაწყისიდან არსებობდა, დიდი ალბათობით ავტორის რეპუტაციისა გამო და მის მიერ წინასწარ დაანონსებული პროექტის პრემიერის გამო. გადაცემა აგებულია დეფინიცებზე, ცალკეული ტერმინის და მმართვეელობის ფორმების განმარტებაზე, რუსეთის პოლიტიკაზე, რუსული პოლიტიკის იმპერიული ბუნების ალბათობის შესახებ მსჯელობაზე. რაც შეხება კომენტარებს, პირველი გადაცემა 16 კომენტარს ითვლის, საიდანაც უმრავლესობა პროექტის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. აუდიტორია, რომელიც მოიხმარს ამ პროდუქტს, მიიჩნევს, რომ ეს პროდუქტი არის ჯანსაღი და იგი უნდა გაგრძელდეს. პირველ რიგში მაყურებელს იზიდავს გადაცემის ქრონომეტრაჟი,მაქსიმუმ 10-20 წუთისგან შემდგარი ვიდეოები, დატვრითული გამოსახულებებით. ზუსტად ისევე, როგორც აკადემიური ნაშრომის დასრულებისას მკვლევარი ქმნის გამოყენებული წყაროების სრულ ჩამონათვალს, ანუ ვქმნით ბიბლიოგრაფიას, პროეექტის ავტორი და წამყვანი თეონა გეგელია, თითოეულ წარმოთქმულ ციტატას, წიგნის ილუსტრაციას ურთავს. ვფიქრობ, ესეც ერთგვარი ხაზია, რითაც შეგიძლია მაყურებლის ყურადღებაა მიიპყრო და მონათხრობი არგუმენტებით გაამყარო, ანუ გამორიცხო ფოლკ-ისტორია.

შემდეგი და ასევე საყურადღებოა ვიდეოების ქვეთავებად დაყოფა და, ასევე, თითოეული მათგანისთვის დასათაურება. მეორე გადაცემა ეძღვნება ნეიტრალიტეტს, რომელსაც აქვს 1200 ნახვა, ვიდეოს ქრონომეტრაჟი კი 17 წუთს შეადგენს;საინტერესოა ის ფაქტი, რომ 17-წუთიანი ვიდეო 26 ქვეთავად არის დაყოფილი, ანუ ჩვენ შეგვიძლია მთლიანი ვიდეოს ნახვის გარეშე, ჩვენთვის მეტად საინტერესო თემა ავირჩიოთ და ეს კონკრეტული მონაკვეთი შევაფასოთ.

ჟურნალისტიკურ პროდუქტში წამყვანის ტემბრს, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს,რადგან მისი ტემბრი განსაზღვრავს,რამდენად მარტივად გაიგებს მაყურებელი მოწოდებულ ინფორმაციას. გადაცემის წამყვანს კი ეს უნარი გამომუშავებული აქვს,ყური კი, მარტივად აღიქვამს ყველა ბგერას, რადგან ტემბრი მშვიდია, მეტყველება კი - გამართული.

თითოეული ახალი გადაცემა ისტორიული ქრონოლოგიით ვითარდება, ძირითადი საკითხები კი პოილიტიკურ და სოციალურ თემებს ეხებათ. თუმცა მკვეთრად არის გამოხატული პოლიტიკური ცნებები და მათი განმარტება. მესამე გადაცემაც, სწორად, პოლიტიკასთან დაკავშირებულ მიდგომებს ეხება, კერძოდ "არის თუ არა პოლიტიკა ბინძური საქმე". გადაცემას აქვს 1009 ნახვა და 7 კომენტარი,რომელთაგან მხოლოდ ერთი ავტორი ეხმაურება მოცემულ თემას, რომ პოლიტიკაში სწორედ წესრიგს გადაცილებული უპრინციპობა არის წარმატების დიდი გარანტია, ასევე გადაცემის წამყვანს იმავე თემაზე სთავაზობს რამდენიმე წიგნს, რათა ამ თემას უკეთ გაეცნოს. სხვა დანარჩნები კომენტარები ძირითადად გამახვილებულია გადაცემის დადებითობაზე.

საინტერესოა ის ამბავიც, თუ როგორც მივიდა ადამიანი ქვის იარაღებიდან ატომურ ღილაკამდე, ეს უკვე მე-4 გადაცემაა,რომელიც 11 წუთს მოიცავს, ვიდეო კი 1693 ნახვას ითვლის. წამყვანს აქვს გადაცემის აღწერაში გამოყოფილი წიგნები, საიდანაც მოჰყავს მაგალითები და ასევე თითოეული ქვეთავს ასათაურებს. საუბარი იწყება იმ წერტილიდან კაცობრიობის ისტორიაში, თუ საიდან გაჩნდა პირველი ომის კვალი,რომელიც დახლოებით 15 000 წლის წინ ფიქსირდება, როდესაც ადამიანებს ინსტინქტით ნაკარნახევ სურვილებთან ერთად გაუჩნდათ სხვათა კუთვნილი ნივთების, ტერიტორიების გაყოფის, მისაკუთრების, წართმევის, მოპოვების სურვილი და მიზანი. თითოეული ვიდეო,რომელიც ასევე ქვეთავებად არის წარმოდგენილი, ქრონოლოგიური იერარქიის მიხედვით არის აგებული, რადგან ამბავი ისტორიის კონტინუუმზე მდებარე ყველაზე

შორეული (თუმცა ფიქსირებადი) წერტილიდან იწყება და დღევანდელობით მთავრდება, და ეს ქრონოლოგიური წყობა,საინტერესოდ ვითარდება და მოლოდინის რეჟიმს ბადებს.

საყურადღებოა ის ფორმატული თავისებურება, რომ წამყვანი ყოველი გადაცემის ბოლოს ტოვებს კითხვას, იმისთვის რომ მაყურებელი მასთან დიალოგში თუ პოლემიკაში შევიდეს. თითქოსიმ კედელს არღვევს, რომელიც გაჯეტს და მაყურებელს ერთამენთს აშორებს და სურს, რომ პირდაპირი ინტერაქცია დაამყაროს. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული თემის პარალელი ყოველთვის არის თანამედროვე ეპოქა. მაშინ, როდესაც საუბარია ომებზე და მის წარმოშობაზე, წამყვანი მონოლოგს რუსეთ-უკრაინის ომზე საუბრით ასრულებს და პარარელს ავლებს წარსულთან, მაგალითად ამბობს, რომ ეს ომი მომავალში ჩაიწერება როგორც ფართოდ გავრცელებული გაჯეტების ომი, რადგან ჯერ ისტორიას არ ახსოვს, ომში მიმდინარე მოვლენები ასე მკვეთრად ასახულიყო ადამიანების ვირტუალურ რეალობაში. ჩვენ ფაქტობრივად ამ ომის მონაწილეები ვართ, რადგან ყოველდღიურად ვხედავთ, რა გზას გადის უკრაინელი მოსახლეობა მოცემულ მომენტში.

აქ საინტერესოა წამყვანის დამოკიდებულება, რადგან როგორც ვიცით, ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება არის ობიექტურობა. უშუალოდ ამ საკითხზე რადიკალური დამოკიდებულება არ ჩანს, ხაზი ესმევა იმ საკითხს, თუ როგორ შევა 21-ე საუკუნე ისტორიაში, ამ კითხვაზე პასუხს კი მაყურებელთაგან ელის კომენტარებში.

როდესაც, Youtube პლატფორმაზე პროდუქტი იქმნება,საყურადსაღებო არის აუდიტორია და მათი მუდმივი ზრდა. რადგან, გარკვეულწილად სპონსორი,სწორედაც რომ ეს საზოგადოებაა.

მე-5 გადაცემის შემდეგ მაყურებელელი უფრო და უფრო მცირდება,რა განაპირობებს ამგვარ ცვლილებას? სასაუბრო თემები თუ გადაცემის სტრუქტურა ? ვფიქრობ,სტრუქტურა მოქმედებს გამომწერთა თუ მნახველთა რაოდენობაზე. შინაარსობრივად პროექტი გამართულია,ზემოთ ხსენებული მაგალითებიდან გამომდინარე. თუმცა, მონოლოგური თხრობა, გარკვეული ეტაპის შემდგომ, რუტინული ხდება და ენთუზიაზმი, რომლითაც იწყებ, თანდათანობით ნელ-ნელა ქრება.

ყველა პროექტს სჭირდება განვითარება,როგორც თემების, ისე სტრუქტურისა და კომპოზიციის მხრივ. როგორც ვახსენეთ, აქ თემები ქრონოლოგიურია, ასევე - საინტერესო წყაროებით და ფაქტებით გამდიდრებული. გადაცემას რომ ჰყოლოდა მოწვეული სტუმარი, რომელიც იმავე თემაზე ისაუბრებდა, რომელი თემაც წამოჭრილი იყო მეხუთე გადაცემაში "ნიშნავს თუ არა ზავი მშვიდობას?" – და ამ თესისზე მყარ არგუმენტს და დიალოგს გამართავდა წამყვანთან, პროექტს შეეძლო უფრო მეტი ინტერესი გამოეწვია. მართალია, საიტზე გამომწერებს შეუძლიათ თითოეული გადაცემის ქვეშ საკუთარი აზრი დააფიქსირონ, თუმცა, ნაკლებად გვხდება ავტორის პასუხი-კომენტარი იქ, სადაც დისკუსია ან დიალოგი იმართება. კომენტარების უმეტეს ნაწილში ხაზგასმულია წამყვანის ოსტატობა.

დებატები წარმოიშვა იმ გადაცემაში, რომელშიც საკითხი ეხებოდა ნაციონალიზმის წარმოშობას. 1774 წელს ამერიკელებმა ბრიტანელების პოლიტიკის გასაპროტესტებლად და სათათბიროდ ცნობილი პოლიტიკოსები კოლონიებიდან ფილადელფიაში შეკრიბეს. ადვოკატმა პატრიკ გენრიმ წამოიძახა, რომ იგი არა ვირჯინიელი, არამედ ამერიკელი იყო. ამ სიტყვებმა კი ხალხში განცვიფრებმა გამოიწვია, რადგან ეს ცნება – ამერიკელი, როგორც ეროვნული იდენტობის აღმნიშვნელი, იმ დრომდე არ არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული ნაციონალიზმის ნაციონალიზმის სათავეც სწორედ ეს შემთხვევაა. ამ გადაცემამ აუდიტორიის აზრი ორად გაჰყო. მყურებელთა ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ავტორმა არასწორი მაგალითით არასწორი განვითარება მისცა თმას, თუმცა მორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ პროექტმა არსებობა კვლავ უნდა განაგრძოს - თემატური განვითარებებით.

მე-7 გადაცემის შემდეგ სრულდება გადაცემების ქვენაწილებად დაყოფა და დასათაურება, მაყურებელი უყურებს ერთ უწყვეტ ვიდეოს, რომლის ქრონომეტრაჟიც კვლავ 10-20-წუთიან დიაზაპონში მერყეობს.

მნიშნველოვანია ის ფაქტორი, რომ გადაცემათა ციკლი სრულად აგებულია და თანხმობაშია თანამედროვე მოვლენებთან, პარარელი მუდმივად ესმევა 21-ე საუკუნეს და აქტუალურ თემებს; ეს გადაცემა გარკვეულწილად გეხმარება, ჩაიხედო იმ სიღრმეებში, რაც

ახლავს სხვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს. ჩვენი ეპოქა სიტყვის თავისუფლების არსშია გამოხატული. როგორ მუშაობს ცენზურადა აკრძალულია თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად ცენზურა აკრძალულია. ციფრულ სამყაროში კი ეს ტერმინი რადიკალურად განსხვავდება, ყველა სოციალურ ქსელს აქვს შეზღუდვა ფოტოს, პოსტის თუ სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. წამყვანი ამ რგოლში გვესაუბრება, რომ რეალურად ყველა სფეროში არსებობს გარკვეული შეზღუდვა, რომელსაც ნებით ან უნებლიეთ ვემორჩილებით. ვფიქრობდი, რომ ამ თემას ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამომხაურება ექნებოდა,თუმცა იგი 52 მოწონებას და 462 ნახვას ითვლის.

ციფრულ ეპოქაში ყველა პლატფორმას აქვს თავისი ალგორითმი, რომლის მიხედვითაც იგი ცდილობს დაგაინტერესოს, შენს მთავარ ფეიჯზე გამოჩნდეს და ა.შ. ამ პროექტის ფარგლებში ყველა ჩანაწერს სხვადასხვა მასშტაბის ნახვის ისტორია აქვს. განვითარება გადაცემებს შორის კი მოსალოდნელი და სტაბილური. პროექტი სრულიად ხალხზე და მის აქტივობაზე დაფუძნებით არსებობდა, წამყვანი დასაწყისში და ასევე დასასრულშიც აღნიშნავდა ამ ფაქტს. აღწერაში კი მითითებული იყო შემდეგი ტექსტი - “მხარი დაუჭირეთ ახალი გამოშვებების გამოსვლას თქვენთვის სასურველი თანხის გადმორიცხვით ნებისმიერი ბანკის ბარათიდან ბმულით”.

მნიშვნელოვანია ასევე, თავად თეონა გეგელიას დამოკიდებულება მხარდამჭერთა მიმართ, იგი მადლობას უხდის ყველა მაყურებელს თითოეული მოწონების,ნახვის და კომენტარისთვის.

ფოკუს ჯგუფი

განსახილველი იუთიუბ პროექტი "ნამდვილი ისტორიები" თეონა გეგელიასთან ერთად

ფოკუსჯგუფის შედეგები

მონაწილეების რაოდენობა: 8

მონაწილეებს ფოკუს-ჯგუფზე შეკრებამდე ვთხოვეთ ენახათ პროექტის ნებისმიერი სამი ვიდეოსთვის და გაცნობოდნენ იმავე პროექტის ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებულ ნებისმიერ სამ ისტორიას.

ფოკუს-ჯგუფზე კი მათ უპასუხეს ჩვენს შეკითხვებს, რომლებიც შეეხებოდა:

(1) **თქვენთვის რა მნიშვნელობით არის დატვირთული სიტყვა „ნამდვილი" პროექტის სახელწოდებაში?**

რესპონდენტი 1.

კაცობრიობისთვის ჭეშმარიტებისა და სინამდვილის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ილუზიამ ფიზიკური სახე მიიღო და ციფრული ტექნიკის მეშვეობით ჩვენთვის ხელშესახებიც კი გახდა. ამასთან, კომუნიკაციის რაოდენობამაც და ხარისხმაც იმატა, რამაც აზრთა მიმოცვლის უდიდესი ქსელის გაჩენა განსაზღვრა. ამ ქსელში კი ნამდვილი და ცრუ ერთმანეთშია არეული და მათ შორის გამორკვევა უფრო და უფრო რთული ხდება. რაც უფრო აქტუალურია სინამდვილე, მით უფრო ჭარბად უნდა იყოს სიცრუე, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე ნამდვილი აღარ იარსებებდა მას არსებული რეალობის სახე ექნებოდა.

გადაცემა "ნამდვილი ისტორიის" წარმოშობაც ამ იდეურ საკითხს უნდა უკავშირდებოდეს. ისტორიები დატვირთულია რეალურთან შერწყმული გამოგონილი ამბებითა და ლეგენდებით, რომლებსაც არასასურველი წარსულის ინტერპრეტაციით მომავლის შეცვლისთვის იყენებენ. ამ მექანიზმის გამოყენების პოპულარობამ სხვადასვა წრეებში (საზოგადოებრივ, კულტურულს, პოლიტიკურ და სხვა.) ნამდვილი ისტორიების წამოწევის საჭიროება გააჩინა. სწორედ ამით აიხსნება გადაცემის ავტორის მხრიდან ისეთ

თემებზე გამახვილებული ყურადღება, რომლებიც ხშირად ინტერპრეტირებადი ან გაუაზრებელი ქილიკის ობიექტი ხდება ხოლმე, თემები, რომლებსაც გარკვეული იარლიყი აქვთ მიკრული და მის ნამდვილ სახეს არ იცნობენ.

რესპონდენტი 2.

"ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად" - როგორც "youtube" არხის აღწერაში წერია, ეს არის ყოველკვირეული შემეცნებითი პროექტი, სადაც საუბარია ისტორიულ მოვლენებსა და ადამიანებზე. განხილულია პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების ენაში დამკვიდრებული ცნობილი გამონათქვამები, ტერმინები, ფრაზები. გადაცემის მიზანია, წარსული ცოდნის გაზიარებით, მაყურებელი მარტივად გაარკვიოს თანამედროვე მოვლენებში. "youtube-ზე" განთავსებული ვიდეოების ხანგრძლივობა 10-20 წუთია. ამ ეტაპზე ამ წამოწყებას დამფინანსებელი არ ჰყავს. შესაბამისად, პროექტის წარმდგენი - თეონა გეგელია, მაყურებელს არხის გამოწერისკენ მოუწოდებს, რათა გაიზარდოს მომხმარებელთა აუდიტორია. გარდა ამისა, ფინანსურად არხის მხარდასაჭერად თითოეული ვიდეოს აღწერაში ე.წ "დესქრიფშენში" მითითებულია საბანკო ანგარიში, სადაც მსურველებს შეუძლიათ თანხის გადარიცხვა და ამ გზით პროექტის ხელშეწყობა. "ნამდვილი ისტორიები" - რატომ შეიძლება ეს სიტყვები იყოს პროექტის სახელი და რაზე ამახვილებს ყურადღებას ამ სიტყვათა კომბინაციით მიღებული ერთიანი თუ ცალკეული კონოტაცია. კონოტაცია თითოეული ადამიანისთვის სუბიექტურია, ეს არის ინდივიდუალურად, ადამიანის მსოფლმხედველობის ეკვივალენტად აღქმული წარმოდგენა/ შეგრძნება სიტყვაზე. სიტყვის ისეთი მნიშვნელობა, რაც ინდივიდის ემოციურ ან კულტურულ ასოციაციებს უკავშირდება. ამიტომაც ვთანხმდებით, რომ ერთ სიტყვას ასი ადამიანისთვის, ამდენივე განსხვავებული მნიშვნელობა და აღქმა გააჩნია. რაც შეეხება ამ კონკრეტულ სიტყვას "ნამდვილი" - უმეტესად ეს სიტყვა გამოიყენება მაშინ, როდესაც ისტორიები, რომელიც იწყება სიტყვებით "მე ახლა ნამდვილ ამბავს მოგიყვები" - ინტერესს იწვევს, რადგან მსმენელმა იცის, რომ ამ ისტორიის გამზიარებელი აუცილებლად სიმართლეს ამბობს და ფაქტებზე დაყრდნობილ, არგუმენტირებულ ამბავს მოისმენს. შესაბამისად, ეს სიტყვა იწვევს სანდოობას მთხრობლის მიმართ და აქვს დადებითი

მნიშვნელობა. ეს კი მაყურებელს დასაწყისშივე პოზიტიურად განაწყობს და ერთგვარ ინტერესსაც კი აღუძრავს გაუმართლდება პირველი შთაბეჭდილება თუ არა. გარდა ამისა, "ნამდვილი" კომბინაციაშია სიტყვა "ისტორიებთან", რაც უფრო მეტად აღძრავს მაყურებელში ახალი, საინტერესო, აქამდე უცნობი ისტორიის მოსმენის სურვილს ან თუნდაც, აქამდე ნაცნობი რეალობის "out-of-the-box" დანახვას. , პროექტისთვის ეს სახელწოდება მის მისიასაც უსვამს ხაზს, რომ ის აუცილებლად შემეცნებითი ხასიათის უნდა იყოს.

რესპონდენტი 3.

გადაცემაში ჩვენ ვნახავთ "ნამდვილ ისტორიებს" ლიბერალიზმზე, კონსერვატიზმზე, გეოპოლიტიკაზე და სხვა. ლიბერალიზმი, რომლის მიმდევრებსაცზოგიერთი ქართული წრის მხრიდან ამჟამად "ლიბერასტების" იარლიყი აქვთ მიკრული, გადაცემიდან ვიგებთ, რომ სინამდვილეში სწორედ ის იდეოლოგიაა, რომლის ღირებულებებითაც ამ ზემოხსენებულმა მარგინალურმა ჯგუფებმა თავის დროზე საზოგადოებაში თავი დაიმკვიდრეს (ირაკლი კობახიძეს ეკუთვნის ფრაზა: "ქართველი ლიბერალი არის ყველაზე გოიმი არსება მსოფლიოში". ირაკლი კობახიძე არის ფრაქცია "ქართული ოცნების" ლიდერი, პარტიის, რომელიც ხელისუფლებაში სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის იდეით მოვიდა ხელისუფლებაში). სათაურშივე გამოტანილი სიტყვა "ნამდვილი" ერთგვარ მარკეტინგულ გათვლადაც შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ბაზარზე რაც უფრო დეფიციტურია პროდუქტი, მით მეტია მასზე მოთხოვნა.

მედიური პროდუქტის ხარისხის დადგენა, ძირითადად, უკუკავშირის სისტემაზეა დაფუძნებული. ამას მასმედიის არსივე განსაზღვრავს, რადგან ყველაფერი, რაც მის ფარგლებში იქმნება, გათვლილია საზოგადოებისთვის, რომელზეც მან გავლენა უნდა იქონიოს. თავის მხრივ, საზოგადოება თავად წყვეტს, მისაღებია თუ არა ესა თუ ის პროდუქტი და რა დამოკიდებულება ექნება მასზე. თუმცა აქ ვაწყტებით შემდეგ დაბრკოლებას: შესაძლებელია სოციალური ქსელის კომენტარები უბიექტური უკუკავშირის სახედ განვიხილოთ?!

რესპონდენტი 4.

სიტყვა „ნამდვილი“, მე გავიგე როგორც „რეალური“. „ნამდვილი ისტორიები“ ანუ რეალური ამბები, ყოველგვარი ზედმეტი შეხედულებებისა და პოზიციების „მიწეპების“ გარეშე. სახელწოდებაში გამოტანილია ეს სიტყვა, იმიტომ რომ მაყურებლისთვის პირველივე შეხედვისას ჩნდება ნდობის განცდა, ანუ ისტორია ნამდვილია, რეალურია არ არის მოგონილი თან საინტერესოა, ცოტა მისტიურიც და თან ნამდვილი.

რესპონდენტი 5.

სიტყვა „ნამდვილი“, იგივეა რაც „რეალური“. „ნამდვილი ისტორიები“ დაფუძნებულია ამბებზე, რომლებიც რეალურად, უდაოდ ჭეშმარიტად მოხდა, სინამდვილეს შეესაბამება, რომელიც არის გადმოცემული რომანტიზების გარეშე, მაყურებლმა პირველივე წამიდან უნდა იგრძნოს თანაგანცდა იმ ადამიანის ტკივილისა თუ სიხარულისა,რომელიც გადმოსცემს ამბავს.

რესპონდენტი 6.

სიტყვა ნამდვილი გვეუბნება რომ ამ ფეისბუქ გვერდის ფუნქცია არის აუდიტორიას მიაწოდოს ავთენტური ისტორიები. გააცნოს საზოგადოებას ის ფაქტები, რომელთა უმრავლესობა ხალხისთვის არ არის ცნობილი. სწორედ ამიტომაც არის ეს სიტყვა გამოტანილი სათაურში, რათა მკითხველში თავიდნავე ჩაუნერგოს ინტერესი, გაეცნოს ამ გვერდზე განთავსებულ ამბებს.

,,ნამდვილი ისტორიები თეონა გეგელიასთან ერთად“ არის იუთუბ გვერდი, სადაც კონტენტის შემქმნელი წარმოადგენს ზოგად ინფორმაცის სხვადასხვა კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის ზოგადი და ვიკიპედიური ხასიათის. ამგვარად, შეგვიძლია ვუწოდოთ მოწოდებულ ინფორმაციებს ,,ნამდვილი“ მაგრმ რა კავშირშია ტერმინი ,,ნამდვილი“ ვიკიპედიურ ცოდნასთან და ზოგადად, ვიკიპედიაში არსებული ინფორმაცია რამდენად შეიძლება იყოს ნამდვილი.

რესპონდენტი 7.

ტერმინი ,,ნამდვილი" შეგვიძლია გავაიგივოთ ობიექტურთან, რაც ნიშნავ დაუინტერესებელ ჭვრეტას, როდესაც ტექსტი, ინფორმაცია გამიჯნულია მკვლევრის ინტერესებისაგან. მაგალითდ, თეოდორ ადორნოს თქმით, ობიექტური ცოდნა არ არსებობს. მაგალითად, იმანუელ კანტს ჰქონდა პრეტენზია აპრიორულ კონცეფციებთან დაკავშირებით, რომ ადამიანისს გონებაში არსებობს ,,ცოდნა იმთავითვე" რაც არის ობიექტური კატეგორიები. თუმცა ადორნო და ჰორკჰაიმერი აკრიტიკებდნენ განმანათლებლებს იმ კონტექსტში, რომ ისინი მითს ივიწყებდნენ და საუბრობდნენ მხოლოდ პრაქტიკულ კატეგორიებზე. მაგალითად, იმანუელ კანტმა უარყო წმინდა სპეკულატიური გონება, მსჯელობა ისეთ თემებზე, რომლებიც ამბივალენტურია და დააფუძვნა პრაქტიკული გონების სფერო, სადაც ადამიანს შეეძლო თავისი აპოსტერული ცოდნის მოგროვება. კანტისთვის სინამდვილე არის ის შემეცნებელი საგანი, რასაც აგებს ადამიანი შემეცნების პროცესში. ამ კონტექსტში განვიხილავ ნამდვილს, როგორც ვიკიპედიურ ცოდნას, რაგან ეს უკანასკნელი არის ცოდნის პოსტულატი, რომელიც მოცემულ რეალობაში არის რელევანტური. ეს ნიშნავს, რომ ვიკიპედიური ცოდნა არის ავტორებისაგან დამოუკიდებლად, ინტერპრეტაციის გარეშე, წარმოდგენა[1] რაღაც ფაქტზე, მაგრამ იგი არ არის დაკონკრეტებული.

რესპონდენტი 8.

ვინაიდან ტერმინი ნამდვილი დაკავშირებულია ობიექტურთან და ეს უკანასკნელი უკავშირდება ობიექტურტს,ზემოთ მოცემულ კონტეტზე საუბრისას ვაპირებ შევამოწმო, რამდენად ნამდვილია (ობიექტური) წარმოდგენილი ინფორმაცია. დასაწყისშივე გამოვრიცხავ, რომ კონტენტკრეატორის წარმოდგენილი ინფორმაცია რამენაირად უკავშირდებოდეს სოციალურ კონტექსტს. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ობიექტურ კატეგორიებზე, ეს თავის თავშივე მოაზრებს იმას, რომ წარმოდგენილი ცოდნა არ უნდა ითვალისწინებდეს რაიმე აქტუალურობის კონტექსტს.

2) რა დატვირთვა აქვს პლატფორმას?

რესპონდენტი 1

რაც შეეხება იუთუბის გვერდს, აქ განთავსებულ კონტენტს გადაცემის მომწონებელი კომენტარები ახლავს თან, ასევე, ხშირია შეთავაზებები მომხმარებელთა მხრიდან, თუ რას შეეხებოდეს შემდეგი თემა. (კომენტარები იუთუგვერდიდან: "დიდი მადლობა ასეთი კვალიფიციური გადაცემისთვის"; "საინტერესო იქნებოდა საუბარი ომის ხელოვნებაზე… ომის მეცნიერებაზე"; "ერთი ვიდეო იქნებ ჩაწეროთ ლობიზმზე და ლობისტურ საქმიანობაზე"…

რესპონდენტი 2.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, პროექტის ფარგლებში შექმნილი ვიდეოები "Youtube-ზე", ხოლო პოსტები "Facebook-ის" ამავე სახელწოდების გვერდზე იდება. თუ გავითვალისწინებთ ამ პლატფორმების მომხმარებელთა ჩვევას, ხასიათს, ასაკს, სქესს, მოხმარების სიხშირეს, ინტერესს - ვთანხმდებით, რომ ყველა სოციალურ პლატფორმას საკუთარი "გამოყენების წესები" აქვს. თინეიჯერებისთვისა და ახალგაზრდა მომხმარებლებისთვის "Youtube-ზე" ვიდეოს ბოლომდე ნახვა რთულია, რაც არ უნდა საინტერესო შინაარსის იყოს იგი, მათთვის "Facebook-ზე" მოკლედ გადმოცემული ისტორიის წაკითხვა ბევრად კომფორტულია. ჩემ მიერ შერჩეულ "Facebook" პოსტებს უფრო მეტი ინტერაქცია აქვს, ვიდრე " youtube-ზე" განთავსებულ ვიდეოს, რომლის შექმნასაც მეტი დრო (ვრცელი ტექსტის დაწერა, სანდრო წყაროების/ფაქტების მოძიება), რესურსი (კამერა, შესაბამისი ფოტოების მოძიება, მონტაჟი) და შრომა სჭირდება. ამ პლატფორმაზე ყველაზე პოპულარული ვიდეოს ნახვები 2,700-ია, ხოლო ყველაზე არაპოპულარულის 420, რომელსაც მხოლოდ 150-მდე ადამიანი იწონებს. "Facebook-ზე" რამდენიმე პოსტს ათასამდე მოწონებაც კი აქვს. გარდა ინტერაქციის ამ სტატისტიკისა, ორივე პლატფორმაზე განთავსებული კონტენტი შინაარსით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. "youtube-ზე" ძირითადად იდება პოლიტიკური და ჟურნალისტური ტერმინოლოგიის განმარტებები, რომლებიც ემყარება ფაქტებსა და წინარე ისტორიულ

გამოცდილებებს. ხოლო "Facebook-ზე" ცნობილი ადამიანების, სიტყვების წარმოშობის, სხვადასხვა ქვეყნების კულტურული ღირებულებების შესახებ უცნობი ისტორიები ქვეყნდება. გამჭვირვალობისთვის "Youtube-ზე" განთავსებული თითოეულ ვიდეოს აღწერაში, იმ ფაქტის ამსახველი წყაროებია მითითებული, რაზეც წამყვანი საუბრობს. ორივე პლატფორმაზე არსებული თემატიკა საქართველოში ამ დროისთვის პოპულარულ თემებს ეხება. ის, რაზეც ბოლო პერიოდში უმრავლესობა საუბრობს და რაც, თითქმის ყველას ყოველდღიურად გვესმის, მაგ: "როგორ მუშაობს პროპაგანდა", "ცენზურა", "ლუსტრაცია" "ვინ ერჩის ლიბერალებს", "რუსეთი" და ა.შ - ეს ცალსახად ხაზს უსვამ იმ ფაქტს, რომ შერჩეული თემები ქრონოლოგიურად მისდევს საქართველოსთვის ამ ეტაპზე, როგორც პოლიტიკურ ასევე, სოციალურად აქტუალურ საკითხებს, შესაბამისად განსახილველი თემებიც, ფაქტებით აწმყოს სწორად დანახვას ემსახურება.

რესპონდენტი 3.

პლატფორმას შემეცნებითი დატვირთვა აქვს, ობიექტურად ასახავს ისტორიულ მოვლენებს. გარდა ისტორიული მოვლენებისა სხვადასხვა ტერმინის დამკვიდრების ამბებსაც მოვისმენთ. მისი მიზანია ობიექტური წარმოდგენა შეგვიქმნას თანამედროვე მოვლენებზე.

რესპონდენტი 4.

პლატფორმა წარმოადგენს აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებისა და მხარდაჭერის ძირითად საფუძველს,სხვადასხვა პლატფორმაზე შესაძლებლი არის ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანი არის ობიექტური წარმოდგენის შექმნა თანამედროვე მოვლენაზე.

რესპონდენტი 5.

იუთიუბ პლატფორმაზე პროექტის არსებობა პირდაპირ მიანიშნებს, რომ ავტორი გაურბის მეინსტრიმულ მედიას, ტრადიციულ მედიას, მაგალითად, ტელევიზიას, სადაც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა.

რესპონდენტი 6.

პლატფორმა ძალიან მოსახერხეებელია თუთქმის დაუსრულებელი ტირაჟირებისთვის, კომენტარბისთვის, დისკუსიისთვის - თუკი თავად შინაარსი გამოიწვევს ამას.

რესპონდენტი 7.

თანამედროვე რეალობაში, როცა ბევრი თეორია არსებობს და აზრის გავრცელების კიდევ უფრო ბევრი პლატფორმაა - აქტორები ცდილობენ, თავიანთი იდეა თუ იდეები სხვებისგან გამოირჩეოდეს. შექმნან რაღაც ისეთი, რაც სხვებისგან განასხვავებს. ხშირად ეს ახალ ჟანრებს ამკვიდრებს, უფრო ხშირად კი უკვე დამკვიდრებულ, მაგრამ არაპოპულარულ გზას ავითარებს.

თეონა გეგელიას კონტენტი- ნამდვილი ისტორიების კრებულია, რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ანალიტიკური ჟურნალისტიკა. ქართულ საინფორმაციო სივრცეში ასეთი სტილის მასალებს ,,მედიაჩეკერი'' ამზადებს. ამას სარედაქციო ჯგუფი ,,ახსნილ ჟურნალისტიკის'' სახელით ავრცელებს. ხშირია მსგავსი ტიპის ვიდეოები ,,რადიო თავისუფლებაზე'', ასევე ,,ენიგმაზე'', რომელიც სრულად ამ შინაარსს მოერგო.

თეონა გეგელია ცდილობს, პოპულარულ თემებზე არამეინსტრიმული, გაანალიზებული და ,,ნამდვილი'' ფაქტებით გამყარებული აზრი გამოთქვას. საინტერესოა, რომ ყოფილი ტელეწამყვანი ამჯერად თანამედროვე ტენდენციებს მოერგო და სამუშაო პლატფორმად ფეისბუქი და იუტუბი აირჩია. ეს შეიძლება სარედაქციო დამოუკიდებლობის ნაწილი იყოს, რადგან ქართულ მედიასივრცეში თავისუფალი სიტყვა თითქმის არ არსებობს.

რესპონდენტი 8.

მივესალმები ,,ფანდრაიზინგზე'' აგებული შინაარსის წარმოებას, რადგან სასიამოვნოა, როცა არხი მაყურებელთა ენერგიით საზრდოობს. ასევე, მეტი ასეთი იუტუბ არხი ნიშნავს მეტ აზრსა და სიმართლეს სოციალურ ქსელში.

3) ეფექტები, კომენტარები/დისკუსია

რესპონდენტი 1.

ტროლ-ბოტური სისტემა; მომხმარებლების მიერ სოციალური გვერდების პირად სივრცედ აღქმა (რაც მათ ისეთი კომენტარების წერისკენ უბიძგებთ, რომლთა შესახებაც, სხვა შემთხვევაში, მხოლოდ საკუთარ თავს თუ გამოუტყდებოდნენ); საჯაროობა (აზრების გასაჯაროების შიში) და სხვა,- ეს ყველაფერი ობიექტურ განსჯასა და შეფასებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. არც "ნამდვილი ისტორიების" ფეისბუკ და იუთუბგვერდია გამონაკლისი, თუმცა ამ ორი პლატფორმის კომენტარების სახეები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ ფეისბუკზე ნაკლებად გვხვდება საკითხის შინაარსობრივი განსჯის ამსახველი კომენტარები და უფრო მეტად სტატიის ნაკლზე (პირადი გადმოსახედიდან, რასაც თვლიან ნაკლად) მახვილდება ყურადღება. ასევე, მხოლოდ ფეისბუკპლატფორმაზე და ძალიან ტენდენციურადაც შეინიშნება ერთგვარი საყვედურის ტონი, თუ, როგორ ბედავს ავტორი და არ ახსენებს მომხმარებლის აზრით საკითხისთვის მნიშვნელოვან დეტალს, ან როგორ ბედავს და საუბრობს ამ თემაზე, ან უბრალოდ სტატია არ მოსწონს და ეს აღიზიანებს. (კომენტარები სტატიაზე ათათურქის შესახებ: " ლენინის და ბოლშევიკურ რუსეთზე,მათ ღვაწლზე თურქეთის შექმნაში არაფერი გაგიგიათ,ა???"; "მართლა????!!ისიც გაგიგიათ,რომ ბოლშევიკი რუსი ექსპერტები მიავლინა ლენინმა და ტროცკიმ ხოლო ჯარს ვოროშილოვი და ბუდიონი აყალიბებდნენ..."; " რას ჰქვია, თურქებმა არ იცოდნენ, სად წასულიყვნენ?:) 1200 წლამდე დაიწყო ანკარის ჩრდილო-დასავლეთში სახელმწიფოს შექმნა"; " და ჩვენ რა მერე????წაგებული ჩვენ დავრჩით...რთვინი,არტაანი და ოლთისი მაინც შეგვრჩებოდა ეს,რომ არ გამომხტარიყო..."…

რესპონდენტი 2.

მაყურებლის უკუკავშირი თითქმის ძალიან იშვიათია "youtube-ზე", რომლის უმეტესობაც დადებითად აფასებს შემეცნებითი ხასიათის მქონე პროექტის წამოწყებას, რამდენიმე მათგანი კი ლუსტრაციის კანონის ან თუნდაც, პროპაგანდაზე საუბრისას კომენტარებში, დღევანდელ ხელისუფლებასთან ავლებს პარალელს. "Facebook-ზე" განთავსებულ პოსტს

იაკობ გოგებაშვილის "დედა ენის" შესახებ, ერთ-ერთი მომხმარებელი დამატებითი ისტორიით გამოეხმაურა, იგი ხაზს უსვამდა და იზიარებდა პოსტის პათოსს გოგებაშვილის პიროვნების შესახებ. "რისი რცხვენოდა მაჰათმა განდის" - ამ ისტორიის კომენტარებში თავად ავტორის - თეონა გეგელია მიერ, მომხმარებლის საპასუხოდ, აღნიშნულია, რომ პროექტის ინტერესი არა ტელევიზია, არამედ ინტერნეტია, რადგან მედიის ბაზარი ძალიან პატარაა საქართველოში და ისიც სრულად პოლიტიკოსების ხელშია. დამოუკიდებელი რედაქციის ფეხზე დაყენება კი რთულია. "პოლიტიკოსების ინტერესი არაა შემეცნებითი კონტენტის გავრცელება, პირიქით, რაც მეტი უცოდინარი მომხმარებელი იქნება, მით მეტ ხანს იბოგინებენ თავად. შედეგი სახეზეა" - ეს კომენტარი ხაზს უსვამს იმ მიზანს, რასაც პროექტი ემსახურება - რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, უფრო მეტმა ადამიანმა სწორად გაიაზროს დღევანდელი პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენები.

რესპონდენტი 3.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ვიდეოს ბოლოს არის შეკითხვა, რომლის პასუხსაც და გაზიარებასაც ავტორი სთხოვს მაყურებელს, სამივე ვიდეოს კომენტარებში ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემული არ არის. ძირითადად კომენტარები კეთდება შინაარსზე, თუმცა ფორმაზეც შემხვდა ერთი ორი უკმაყოფილო კომენტარი.

რესპონდენტი 4.

კომენტარები ძირითადად ავტორზეა ორიენტირებული. მას აქებენ, მას გემოვნებას და ცოდნას უწონებენ, მის განზრახვას ვერ იგებენ. შინაარსიც მხოლოდ ავტორის მიმართ დამოკიდებულების პრიზმით აღიქმება.

რესპონდენტი 5.

ვიდეოს ბოლო არის შეკითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გასცეს მაყურებელმა, სამივე ვიდეოს კომენტარებში ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემული არ არის,ძირითადად კომენატარი არის ამბავზე და მის შინაარსზე, ფორმატზე შეგვხდებათ ერთი ორი კომენტარი მხოლოდ. ვკითხულობთ შექებას წამყვანის მიმართ, არიან ადამიანები, რომლებიც იწონებენ კონტენტს, მაგრამ უმეტესობა არ აფიქსირებს საკუთა აზრს.

რესპონდენტი 6.

არ მიმიქცევია ყურადღება კომენტარებისთვის.

რესპონდენტი 7.

დავაკვირდი ,,ფეისბუქ'' პოსტებსაც. „ფეისბუქი'' გადაცემისთვის ძირითადად სადისკუსიო პლატფორმაა, ისევე როგორც იუტუბის კომენტარების სივრცე. ბოლო ორი პოსტი- კათოლიკურ ეკლესიასა და 21-ე საუკუნის მონარქიაზეა.

უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკური ეკლესიის თავგასულობას კომენტარების ავტორები ყველაზე ხშირად ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ადარებენ, გამოთქმულია აზრი, რომ დროსთან ერთად მართლმადიდებლური ეკლესიაც ისე დაკარგავს გავლენას, როგორც ეს კათოლიკურ სამყაროში მოხდა.

გამოყენებული მასალები და მათდამი გამოკითხულთა დამოკიდებულება - კონტექსტის შეფასება

როგორ მუშაობს პროპაგანდა / Propaganda

ცენზურა. როგორ მუშაობენ ცენზორები / Censors

სჭირდება თუ არა ლუსტრაცია საქართველოს? Lustration

როგორ შეიქმნა „დედა ენა“

რისი რცხვენოდა მაჰათმა განდის

როგორ ისწავლა კაცობრიობამ საუთარი ნაწარმოებების დაცვა:

ხელმოწერებიდან QR-კოდებამდე

გეოპოლიტიკა ვინ მართავს მსოფლიოს,

ომების ისტორია:ქვის იარაღიდან ატომურ ღილაკამდე

ნიშნავს თუ არა ზავი მშვიდობას.

კოლაბორაციონიზმის ფასი,

რამდენად რეალისტურია იდეა საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ თანამედროვე რუსეთი იმპერიაა?

სამივე ვიდეო უკავშირდება პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტს.

პირველ ვიდეოში საუბარია გეოპოლიტიკაზე, როგორია თანამედროვე გეოპოლიტიკა, და არის თუ არა გეოპოლოტიკა მეცნიერება. მომეწონა ის, რომ ყველა ვიდეოს ბოლოს არის მთავარი კითხვა მაყურებელთან.

მეორე ვიდეოში საუბარია უძველესი დროიდან როგორ იწყება ომის ისტორია, როგორ დაიწყო პირველყოფილმა ადამიანმა ომი. რის გამო იწყებოდა ომი და რა იყო მთავარი ინტერესი. როგორ იწყება ომის დემოკრატიზება, როგორ ჩნდება იარაღი, დაქირავებული მეომრები, არმიები და რა დატვირთვა აქვს უკვე 21-ე საუკუნის მსოფლიოში ტექნოლოგიურ პროგრესს ომში, როგორ ჩნდება მასობრივი განადგურების იარაღი და ბირთვული იარაღი და როგორ ეხმიანება ეს ყველაფერი დღევანდელობას? არსებობს თუ არა დღეს ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე. მესამე ვიდეო ეხებოდა ზავს, როგორ სრულდება ომი და რა არის დოკუმენტირებული შეთანხმება ომის დასრულებასთან დაკავშირებით, საბოლოო ჯამში, ყველა ვიდეო ეხმიანებოდა თანამედროვეობას და ითვალისწინებდა პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტს.

ჩემი ინტერესის სფეროში სამი ვიდეო მოხვდა, სამივე ვიდეოს მთავარი აზრი, რა თქმა უნდა, პოლიტიკისა და სოციალური კონტეექტის ირგვლივ ტრიალებდა. კოლაბორაციონიზმის ფასი მოგვითხრობს იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც გადავიდნენ მტრის მხარეს და გვიხსნის თუ რამ განაპირობა მათი მხარის ცვლილება, როგორი იყო მათი ქმედება და რეალურად რა ფასის გადახდა უწევდათ ამ ადამიანებს ამ ყველფრისთვის.

რამდენად რეალისტურია იდეა საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ - ბოლო პერიოდში საქართველოში საქართველოში ალბათ ხშირად დასმული კითხვაა, რომელიც ბოლო პერიოდში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებებით არის გამოწვეული. ის მოგვითხრობს, საიდან დაიწყო ფიქრი ნეიტრალიტეტის შესახებ, როგორ ცხოვრობენ მის პირობებში ადამიანები და რამდენად რეალურია ამ იდეის განხორციელება საქართველოში.

მე-3 ვიდეო პირდაპირ პოლიტიკის შესახებ საუბრობს, საზოგადობაში ფართოდ არის გავრცელებული იდეა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა ადამიანები თვლიან რომ ამ

სფეროში მოქმედება პირდაპირ უკავშირდება ბინძური საქმეების განხორციელებას. ავტორი გვიყვება ისტორიას, როგორ გაჩნდა ეს აზრი და საიდან წამოვიდა, შეიძლება პირდაპირ ეს არ უკავშირდებოდეს სოციალურ კონტექტს, მაგრამ რეალურად პოლიტიკა სოციალური თანაცხოვრების გარეშე არ არსებობს, ამიტომაც პოლიტიკის ბინძური ცხოვრების ირგვლივ, ხშირად დაჩაგრული ადამინები ჩანან.

როდის და რა ქალაქები გაჩნდა პირველად ამერიკის ტერიტორიაზე?
იყო თუ არა რონალდ რეიგანი რასისტი?
რატომ შეარქვეს ბრეჟნევს უკრაინაში ,,ბალერინა''
განვიხილოთ თითოეული მათგანი

1) პირველ ტექსტში ავტორი ერთგვარ ისტორიულ ექსკურს მართავს მკითხველისთვის. და მას წარსულში ამოგზაურებს. სწორედ იმ პერიოდში, როცა ამერიკის კონტინენტი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაში იყო. ტექსტს, რა თქმა უნდა, აქვს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის დატვირთვა, რადგან მოვლენების ეპიცნეტრში არიანი ისეთი ფიგურები, როგორც კონკისტატორები. თუმცა ამავდროულად, ეს საინფორმაციო ,,ქეისი'' ძირითადად ისტორიულ კონტექსტს შეიცავს. რა გავიგეთ ამ ტექსტის წაკითხვის შედეგად? დასაწყისში ავტორი სვამს რიტორიკულ შეკითხვას- გააჩნია, რას ვგულისხმობთ ქალაქებს, რომლებიც ევროპელებმა დაარსეს თუ ძველი ამერიკის ცივილიზაციების ქალაქებს? შემდგომ კი ამ კითხვებზე პასუხების გაცემით, წარიმართება მთელი ამბავი. ჩვენ გავიგეთ რომ ძველმა ქალაქებმა დროს ვერ გაუძლეს და განსაკუტრებით უძლურები აღმოჩნდენ კონკისტატორთა აგრესიის პირირსპირ. თუმა ესპანელ კოლონისტთა დამსახურებით მეხიკო აშენდა. პირველი ქალაქი , რომელიც ევროპელებმა დაარსეს იყოსანტო-დომინგო ჰაიტის კუნძულზე. ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში კი ასეთი ქალაქი იყო სან ავგუსტინი.რაც შეეხება კომენტარების გრაფას, აქ კომენტარების დეფიციტის ვაწყდენით,მხოლოდ ერთი გამოხმაურება მოჰყვა ამ ტექსტს, თან ძალიან ბანალური და არაფრის მომცემი- ,,ნამყოფი ვარ''

2) მეორე ისტორიის მთავარი გმირი არის ყოფილი მსახიობი და აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. რეიგანს ადრე რასიზმში ადანაშაულებდნენ. რადგან ის 1964 წელს სამოქალაქო უფლებების კანონის მიღებას ეწინააღმდეგებოდა. რეიგანმა თავის პოზიცია იმით ახსნა რომ ამ კანონის მიღებით ფედერალური ხელისუფლება ზედმეტად ჩაერეოდა მოქალაქეების ცხოვრებაში. იმის დასამტკიცებლად, რომ რეიგანი რასისტი არ იყო, ავტორს მოყავს მისი ახალგაზრდობის პერიოდი, როცა რეიგანი ფეხბურთს თამაშობდა. 1929 წელს კოლეჯის შეჯიბრების დროს რეიგანის ორი შავკანიანი თანაგუნდელი სასტუმროში არ შეუშვეს. ამ რასისტული ქმედების საპასუხოდ რეიგანმა ნამდვილი ჰუმანურობა გამოიჩინა და თანაგუნდელები მის ოჯახთან გადაასახლა. ეს ტექსტი ზემოთხსენებულის მსგავსად არის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის, რადგან საზოგაოდების სახეს წარმოაჩენს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც წარმოაჩენს. ასევე , რასაკვირველია, აქვს ისტორიული დატვირთვა. ტექსტის ქვემოთ დატოვებული კომენტარები ორ ნაწილად არის დაყოფილი. ერთი მხარე რეიგანს ხოტბას ასხამს, ხოლო მეორე პირიქით აკრიტიკებს და ამის ნათელ დასტურად მოაქვს აუდიო ჩანაწერი ნიქსონთან, სადაც რეიგანი თავის კოლეგასთან საუბრისას ფერადკანიან პოლიტიკოსებს, აფრიკელ მაიმუნებად მოიხსენიებს.

3)მესამე ტექსტის ადრესატი გახლავთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მართველი ბრეჟნევი, რომელსაც უკრაინაში ბალერინა შეარქვეს. რატომ? იმიტომ, რომ ზაპოროჟიეში მუშაობის დროს ის არავისთან კამათობდა ხოლო სამუშაოს ქვედა რგოლის წარმომადგენლებს აკეთებინებდა. ეს ამბავი უფრო ისტორიულ ნარატივს ატარებს, ვიდრე სოციალურ-პოლიტიკურს, რადგან საქმე გვაქვს კონკრეტული ფიგურის დახასიათებასთან. როგორც ყოველთვის ხდება კომენტარებში საზოგადოება ორ ნაწილად დაიყო და აზრების სეგრეგაცია ვიხილეთ. ერთმა ფლანგმა ბრიტანელი ისტორიკოსის შეფასება მოიყვანა, სადაც იგი საუბრობს იმაზე რომ ბრეჟნევის დროს უამრავი რეფორმა გატარდა, ხოლო მეორე ნაწილი ცინიკურად მოიხსენიებს სსრკ-ს ყოფილ მთავარ პირს და ამბობს, რომ მაგიტომაც ბრეჟნევის მართველობის ხანას შეარქვეს უძრაობის ეპოქა.

ვიდეოში ,,ლუსტრაცია“ კონტენტკრეატორი საუბრობს ტერმინის მნიშვნელობაზე და წარმოშობაზე. განიხილავს სხვა ქვეყნის მაგალითებს, სადაც ლუსტრაცია მოხდა სხვადასხვა კონტექსტში. განხილვის დროს, ძირითადად ეხება ევროპულ ქვეყნებს, სადაც დემოკრატიული მმართველობებია და განსაკუთრებით უსვამს ხაზს პოსტსაბჭოთა კონტექსტს, სადაც საქართველოც მოიაზრება. თუმცა საქართველოსთან დაკავშირებით კონტენტკრეატორი არაფერს ამბობს. მიუხედავად ამისა, იგი თავის შექმნილ ვიდეოში იყენებს საქართველოს. ,,სჭირდება თუ არა ლუსტრაცია საქართველოს“ ამ ვიდეოში კარგად ჩანს ვიკიპედიური, ნამდვილი ცოდნა საკითხის მიმართ, ე.წ. აპრიორული ცოდნა, მაგრამ ავტორი პასუხგაუცემელს ტოვებს კითხვას, რაც დატოვა სათარუში. შეიძლება, რომ მსჯელობისთვის მაყურებელს დაუტოვა ადგილი. ანუ, ავტორმა მოგვცა ობიექტური ცოდნა, ხოლო ინტერპრეტაცია არის მკითხველის საქმე.

შემდეგი ვიდეო ეძღვნება ლიბერალიზმს ,,ლიბერალიზმი. ვინ და რატომ ერჩის ლიბერალებს“ სადაც იგი აჩვენებს ლიბერალიზმის მიზანს და თუ როგორ განიხილავ ლიბერალიზმს მისი პირველი დამფუძვნებელი - ჯონ ლოკი. ლიბერალიზმსი ნეგატიურ გაგებას გვთავაზობს, მისი თქმით შექსპირიც. ასევე, ლოკი, ავტორის თქმით არ უწოდებს თავს ლიბერალს და მისი თეორია მხოლოდ ნაწილობრივ იყო ლიბერალური. ჩემი აზრით, ზოგადად, როდესაც ავტორზე ვსუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ დრო და სივრცე, სადაც ავტორი მოღვაწეობდა. ამიტომ, ლოკისთვის ბრალის დადება ლიბერალიზმში ან არალიბერალიზმში უადგილო და არანამდვილია. [2] ჯერ კიდევ, თეონა გეგელიამდე, ჰეგელი აკრიტიკებდა ლოკს და ამბობდა, რომ ინგლისელი ემპირისტები საუბრობენ არა ზოგად რეალობაზე, ისინი ნამდვილ ბუნებით მდგომარეობას კი არ აღწერენ, არამედ აღწერდნენ თავიანთ რეალობას, სადაც ცხოვრობდნენ. მართლაც, ნამდვილად ჰგავს ლოკის საკუთრების თეორია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩენილ საკუთრების კატეგორიას.

მემარცხენეებთან დაკავშირებით შექმნილ ვიდეოშიც წარმოდგენილია ზოგადი სინამდვილე მემარცხენეებთან დაკავშირებით, მაგრამ აქაც ნაკლებად აქტუალურია

[2]ეს არის ადგილი, სადაც ავტორი უარს ამბობს თავის განზრახვაზე და ,,ნამდვილ“ ინფორმაციას ურევს წარმოდგენებს ავტორთან დაკავშირებით და ცდილობს ლოკს მიაწეროს ან არ მიაწეროს ტერმინი ,,ლიბერალი“

საქართველოს კონტექსტი. ლიბერალებზე საუბრისას, პირველად დადგა აქტუალური საქართველოს საკითხი, როდესაც ავტორი შეეხო ნაციონალურ მოძრაობას. მაგრამ წინა პლანზე მაინც დარჩა აქტუალური ნამდვილი ცოდნა, სპეკულაციების გარეშე.

დასაკვირვებლად სამი ვიდეო ავარჩიე: ,,როგორ განვასხვაოთ მემარცხენეები მემარჯვენეებისგან", „როგორ მუშაობენ ცენზორები", „ვინ და რატომ ერჩის ლიბერალიზმს''. უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემების ავტორი თხრობას ისტორიული ნარატივისგან იწყებს. მაგალითად, ლიბერალიზმის შემთხვევაში განიხილავს ჯონ ლოკის თეორიას და თანმიმდევრულად მიყვება დღევანდელ დღემდე. მხოლოდ ზოგადი ფონისა და სარჩულის გაცნობის შემდეგ შემოდის ვიდეოში ქართული რეალობა. კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, გეგელია ლიბერალობასაც და მისთვის კრიტიკოსების მიერ შერქმეულ-,,*ლიბერასტობასაც*'' ნაციონალურ მოძრაობას უკავშირებს. მისი თქმით, ,,ვიგებისა'' და ადრეული ლიბერალური, რეაქტიული მოძრაობების გამოძახილი ყველაზე კარგად საქართველოში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლისას შეიმჩნევა. ჯერ თანამედროვე სტანდარტებით შემდეგ კი ,,პროგრესის'' სახელით, ყოფილი მმართველი პარტია ცდილობდა, ქვეყანა გარდაექმნა. ოღონდ, ეს გარდაქმნა ხშირად შინაარსგამოცლილი იყო და არ ითვალისწინებდა ისტორიულ თუ კულტურულ კონტექსტს.

საინტერესოა, რომ ცენზურის ისტორიის შემთხვევაშიც თხრობა მსგავსად ვითარდება. ამ შემთხვევაში გეგელიას საილუსტრაციო მაგალითად ,,ქართული ოცნების'' მიერ შექმნილი ,,ფარას'' ანალოგი მოჰყავს. ეგრეთწოდეული რუსული კანონი, რომლის მთავარი ფუნქციაც ცხადია, არასამთავრობო ორგანიზაციების დათრგუნვა და ცენზურა იყო.

საბოლოო ჯამში, დადებითად ვაფასებ ქართულ მედიასა და სოციალურ ქსელებში მსგავსი ტიპის გადაცემების არსებობას, რადგან ეს უპირველესად, ამდიდრებს მედიასივრცეს დაასევე, აზრთა პლურალიზმსუწყობსხელს. საყურადღებო, მისისაგანმანათლებლოფუნქციაც, რადგან 10-15 წუთიანი ვიდეოები კარგ თეორიულ მასალას მოიცავს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პოლიტიკურ იდეოლოგიებს ახლა ეცნობიან. კარგია, რომ ავტორი ცდილობს მაყურებელს შესაბამისი პოლიტიკური ლიტერატურაც გაუზიაროს.

დასკვნა

საკვლევი პერიოდის განმავლობაში,კონტენანალიზზე და ფოკუს ჯგუფზე დაყრდნობით,სრულიად მოხდა გადაცემის,როგორც პროექტის გაანალიზება. დაკვირვების შედეგად,აღმოჩნდა რომ, გადაცემის facebook ფეიჯზე,უფრო მეტი ინტერაქციაა ვიდრე არხზე სადაც ყოველკვირეულად თავსდებოდა ვიდეოები,ეს განაპირობებს,შემდეგს,რომ, მაყურებელში ინტერესს კიდევ უფრო მოკლე ვიდეო,ე.წ. რილსები იწვევს,ვიდრე 10-20 წუთიანი,ქრონომეტრაჟით შედგენილი ვიდეო პროდუქტი. გარდა უშუალოდ ინტერაქციისა,ამ ორ პლათფორმაზე განთავსებული ინფრომაციაც,განსხვავდება ერთმანეთისგან, youtube-ზე გვხვდება,ჟურნალისტური ენით,გადმოცემული ინფორმაცია,პოლიტიკურ თუ სოციალურ თემებზე,რომლებიც საკუთვრივ ემყარება ფაქტებს და ისტორიულ მოვლენებს. ხოლო, facebook-ზე ცნობილი ადამიანების სიტყვების,ასევე სხვადასხვა ქვყენების შესახებ,აქამდე უცნობ კულტურულ ღირებულებებზე ქვეყნდებოდა ინფორმაცია. უშუალოდ გადაცემის წარმოშობის იდეურ საკითხს,სიტყვა ნამდვილი უკავშირდება,რადგან ამბები,რომელსაც ჟურნალისტი გადმოსცემს არის-რეალური,წარსულში მომხდარი ამბით და ლეგენდებით დატვირთული. თემები რომლებზეც იგი საუბრობს,ძირითადად იმ საკითხებს ეხება,რომელიც გაუაზრებელი ქილიკის ობიექტი ხდება და ნამდვილად არ სცნობდნენ. უშუალოდ სიტყვა ნამდვილი,დადებითთან,პოზიტიურთან ასოცირდება,და როგორც ჟურნალისტიკის მთავარ პრინციპს-ობიექუტს ასახავს. პროექტი საინტერესოა,მაყურბელის ყურადღებას დაწყების წუთიდან იწვევს,რადგან როგორც კვლევის მეთოდშია აღწერილი ერთი გადაცემა,რამდენიმე ქვეთავად არის დაყოფილი და მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს მისთვის საინტერესო ქვეთავი შეარჩიოს და მხოლოდ ის მონაკვეთიც ნახოს. რადგან,პროექტი ფინანსურად მხოლოდ გამომწერებზე იყო განსაზღვრული,მან მხოლოდ ნახევარი წელიწადი იარსება,ამჟამად ახალი ვიდეო საიტზე აღარ გვხვდება. აღსანიშნავია

ის ფაქტიც რომ,ამ ფუნქციის მატარებელი ქართული მედია პროდუქტი,პირველად განთავსდა პლატფორმაზე და დაინტერესებაც გამოიწვია.

კვლევის მეთოდებში ნათლად ჩანს,რომ გადაცემა თავიდან-ბოლომდე იდეურად არის გამართული და მორგებული,იმ ისტორიებზე,რომლებიც საზოგადეობისთვის დღემდე საინტერესო და აქტუალურია.

ჟურნალისტი,მუდმივად ცდილობდა მაყურებელთან დაემყარებინა კონტაქტი,ამას ასაბუთებს,გადაცემის ბოლოს დასმული კითხვები მსმენელთან და გამომხაურება კომენტარებზე.

ნამდვილმა ისტორიებმა,ამ პლათფორმაზე სათავე დაუდო სთორი თელინგის ახალ მიმართულებას,სადაც შემეცნებითი,ისტორიული მოვლენები,გადმოცემულია გაციფრულებული ვერსიით.

ჟურნალისტიკა არის პროფესია,რომელიც დროსთან ერთად ვითარდება და მუდმივად აძლევს ამ პროფესის ადამიანს განვითარების,მიზნისკენ სწრაფვის საშუალებას.

ეს პროექტი კი არის დასაბამი,ახალი მედია სივრცის,სადაც კედელი,მაყურბელსა და მთხრობელს შრის სრულიად დარღვეულია.

გამოყენებული ლიტერატურა

მაისაშვილი ხ., ტორაძე მ., მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 156-157

https://www.connect.ge/ka/blog/socialuri-mediis-evolucia-mokle-istoria-/?fbclid=IwAR2-genl7WuPehSn3rC6aBjJH1qym_bD7iL5WTOhKnMm9RemIoh_n3ZN1Ok

W. Caleb McDaniel, 'Blogging in the Early Republic: Why Bloggers Belong in the History ofReading',Common-Place, 5, 4 (July 2005), http://www.common-place.org/vol-05/no-04/mcdaniel/index.shtml

Peter Novick,That Noble Dream: The 'Objectivity Question' and the American Historical Profession(Cambridge 1988).

Llewellyn Woodward, 'The Study of Contemporary History,'Journal of Contemporary History,1,1 (1966), 1–13, at 1.Cole 659

David Thomson, 'The Writing of Contemporary History', Journal of Contemporary History, 2,1, Historians on the Twentieth Century (January 1967), 25–34.

Ronald D. Tallman, William H. Beezley and Thomas H. Henriksen, 'History for the 70's: AnApproach to Contemporary History', The History Teacher, 6, 1 (November 1972), 9–16.

Hugh Trevor-Roper, 'The Past and Present: History and Sociology',Past and Present, 42 (1969),1–17

Alistair Thomson, 'Fifty Years On: An International Perspective on Oral History',The Journal ofAmerican History, 85, 2 (September 1998), 581–95;

Jan Vansina, 'Once upon a Time: Oral Traditions asHistory in Africa',Daedalus, 100, 2, The Historian and the World of the Twentieth Century

Juan Cole, University of Michigan, Ann Arbor, MI 48109, USAEmail: jrcole@umich.edu

https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/?fbclid=IwAR3rf6AIX86O3iT3JP5aSSFxMcLjYFbDyelEs9aNrtGU0KcZmSj5qZ_8wsc

>> https://www.connect.ge/ka/blog/socialuri-mediis-evolucia-mokle-istoria-/?fbclid=IwAR0ZbGLAnmsxAeZkG69-ZppyrLtZGQ5QDmj2AlcNWyQbHiEFqsEehhCcT40<<